საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის

დეკლარაცია

თბილისი, 26 ივლისი, 2018 წელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ პრეზიდიუმის წევრების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროების, წარმოების მუშაკებისა და შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) საქართველოში მეაბრეშუმეობის ეროვნულ კოორდინატორის შემადგენლობით განიხილა საკითხი "**მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-განვითარების პერსპექტივები საქართველოში".**

აღინიშნა, რომ საქართველოს მეაბრეშუმეობაში შექმნილი მდგომარეობა საგანგაშოა. გასული საუკუნის 60-იან წლებში ქვეყანაში იწარმოებოდა 4,0–4,2 ათასი ტონა ცოცხალი პარკი, 4,5–5,0 ტონა გრენა, 450–500 ტონა ნატურალური აბრეშუმის ხამი ძაფი, 4,5–5,0 მილიონი გრძივი მეტრი ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი და მეაბრეშუმეობის სხვა პროდუქცია. სოფლის მოსახლეობა, მხოლოდ ცოცხალი პარკის რეალიზაციიდან ღებულობდა 16,5–17,5 მილიონ მანეთს, ამასთან, დარგში დასაქმებული იყო 100–120 ათასი ოჯახი, მრეწველობაში მუშაობდა 5,5–6,0 ათასი კაცი და მეაბრეშუმეობის სამმართველოს სიტემაში – 800 კაცზე მეტი.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან თუთის დაავადება "ფოთლის სიხუჭუჭის" გამოვლინება–გავრცელების შედეგად განადგურდა 15 მილიონამდე ძირი ჯიშიანი თუთის მცენარე. ამას დაემატა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სიძნელეები (განსაკუთრებით სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა მაღალჩინოსანთა სუბიექტური შეხედულებები - თითქოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეაბრეშუმეობას განვითარების პერსპექტივა არ ჰქონდა); გარდამავალი ეტაპის სირთულეებმა ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის ტრადიციულად ჩამოყალიბებული დარგის - მეაბრეშუმეობის ლიკვიდაციას, აქედან გამომდინარე, უაღრესად საშიში შედეგებით გაუარესდა ეკოლოგიური გარემო, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები, დაეცა დასაქმების დონე და მასშტაბური ხასიათი მიიღი მიგრაციამ, სოფლების დაცარიელების პროცესი ახლაც ღრმავდება. მეაბრეშუმეობა, როგორც დარგი თავიდან უნდა ჩამოყალიბდეს.

საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია–აღორძინება რეალურად მოითხოვს შესაბამისი ორგანიზაციულ და ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემის ჩამოყალიბებას ეკონომიკის განვითარების, ბუნებრივ-საწარმოო პირობებისა და შრომითი ტრადიციების გათვალისწინებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომას საჭიროდ მიაჩნია:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, სხვა ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით შეადგინოს დარგის განვითარების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა (2020–2030 წწ), მოაწყოს მისი განხილვა და შესაბამის ორგანოებში დასამტკიცებლად წარდგენა;
2. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას:
   ა). განიხილოს ხონის მეთუთეობის მეურნეობის (ადრინდელი მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგური) 40 ჰექტრამდე სასოფლო–სამეურნეო სავარგულის (მ.შ. 10 ჰა–მდე საცდელი–საკალმე-სადედე პლანტაცია) და შენობა–ნაგებობების ყადაღისაგან გათავისუფლების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარების მატერიალურ–ორგანიზაციული ბაზის შექმნას;
   ბ). საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური სადგურის (ყოფილი მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტი) ტერიტორიაზე დარჩენილი ქონებიდან დღემდე შემორჩენილი 4,5 ჰა საცდელი ნარგაობა და შენობა–ნაგებობა არ დაექვემდებაროს პრივატიზებას.
   გ). მეაბრეშუმეობა, როგორც სოფლად მოსახლეობის დასაქმების და სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი დარგი, მიჩნეული იქნას პრიორიტეტულად და მისი პროდუქცია (ხამი ძაფის ჩათვლით) დაიბეგროს შედავათიანი ტარიფით;
3. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ვანის რაიონის თერმული წყლებისა და ხონის რაიონის მეთუთეობის მეურნეობის (ადრინდელი მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგური) ბაზაზე მეაბრეშუმეობის რაიონთაშორისი კოოპერატივი "საჩინო"-ს ჩამოყალიბება, რომლის ძირითადი პროდუქცია იქნება თუთის საკუთარფესვიანი ნერგი, გრენა და კუსტარული ნაწარმი.

   მიღებული იქნას ცნობად, რომ ვანისა და ხონის რაიონის დეპუტატი (გივი ჭიჭინაძე), ვანის და ხონის მუნიციპალიტეტების მერები (ალექსანდრე გოგორიშვილი და ლადო ჯურხაძე) და ამავე მუნიციპალიტეტების საინფორმაციო–საკონსულტაციო სამსახურის უფროსები (ივანე სანადირაძე და ბადრი ბახტაძე) ხელს შეუწყობენ კოოპერატივ "საჩინოს" ჩამოყალიბებას;
4. მეაბრეშუმეობის მიმართულებით ჩასატარებელი სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის, განსაკუთრებით კი სასელექციო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მიზანშეწონილია შეიქმნას სპეციალისტთა ჯგუფი (სახელმწიფო დაფინანსებით), რომელიც უშუალოდ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით და დარგში მიმდინარე პროცესების კოორდინაციით კონტროლს გაუწევს

ქვეყანაში მეაბრეშუმეობის დარგის აღდგენა-განვითარების მიმდინარეობის პროცესს;

5. ეთხოვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს:
   ა) მიიღოს სათანადო ზომები მეაბრეშუმეობის დარგში დასაქმებული საოჯახო მეურნეობების, ფერმერების, კოოპერატივების და სხვა ფორმებისათვის მიზნობრივი კრედიტების გამოყოფისათვის;
   ბ) სამინისტროს დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან ერთად შეიმუშაოს მეაბრეშუმეობის პროდუქციის (გრენა, პარკი, ძაფი და ა.შ.) საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტები;
   გ) სამინისტროს დაქვემდებარებულ რეგიონალურ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებში გაითვალისწინოს მეაბრეშუმე სპეციალისტის თანამდებობა;
6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროებმა დამტკიცებული პროგრამა (დეკლარაციის პ.1-ის მიხედვით) წარუდგინოს საერთაშორისო ბიზნეს ჯგუფებს, დონორ ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ სტრუქტურებს მეაბრეშუმეობის დარგში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით;
7. ეთხოვოს შესაბამის სამინისტროებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უზრუნველყონ საზოგადოებრივი აზრის მობილიზება მეაბრეშუმეობის პრობლემებზე, მისი რეაბილიტაცია–აღორძინების საკითხი აქციონ საყოველთაო მსჯელობის საგნად;
8. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ქ. ბათუმში 2019 წლის 07-12 აპრილს დაგეგმილი შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "მეაბრეშუმეობის შენარჩუნება და აღდგენა, პრობლემები და პერსპექტივები", მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარების ხელშეწყობა;
9. დეკლარაცია გაეგზავნოს საქართველოს პრემიერ მინისტრს ბატონ მამუკა ბახტაძეს და პარტია "ქართული ოცნების" თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს.